

**ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი 080366
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა:

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაცია მოდის დიზაინის ინდუსტრიული სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვანი ქვესისტემაა. იგი არის ფეხსაცმლის და აქსესუარების სხვადასხვა ასორტიმენტული ჯგუფის წარმოების პროცესში ჩართული რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადების სხვადასხვა სირთულის ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებით.

II. დასაქმების სფერო

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის დასაქმების სფეროს წარმოადგენს მოდის დიზაინის კომპანიები, მცირე და მსხვილი ფეხსაცმლისა და გალანტერიის საწარმოები, ფაბრიკები, მოდების სალონები. შრომის ბაზრის ნაწილი თვითდასაქმებულთა სეგმენტში მოდის: ინდ. კერვა, ინდ. მეწარმეობა, კერძო/მცირე ბიზნესი.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი - III, IV, V და მოიცავს მინიმუმ 180 კრედიტს. თითოეული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების რაოდენობის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება: ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების რაოდენობის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება: ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. კრედიტების რაოდენობის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება: ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

IV. დამატებითი მოთხოვნები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებელს მოეთხოვება პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება;

V. ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი.

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, სხვადასხვა სირთულის ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება.</p>	<p>იცნობს და აცნობიერებს სფეროსთვის დამახასიათებელ ძირითად პრინციპებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს, კერძოდ, იცის ტყავის გამოჭრის შემდეგი ელემენტები: ტყავის სტრუქტურა და ტოპოგრაფია, მისი აჭრისათვის თარგთა ჩაწყობის მეთოდები, მასალების გამოსაჭრელად საჭირო საშუალებები; იცის ქსოვილებისა და ხელოვნური მასალების აჭრა; იცის ხელით ჭრა, გამომჭრელი მანქანა-დანადგარების მუშაობის პრინციპი და მათი უსაფრთხოების წესების დაცვა; ასევე იცის ტყავის ნაწარმის დამზადების სხვადასხვა სირთულის ამოცანების განსახორციელებლად საჭირო შემდეგი პროცედურები: დეტალების გათანაბრება სისქეზე, დეტალების კიდების დამუშავება, ფიგურული შემოკვეთა, დეტალების დეკორატიული ამოჭრა - პერფორაცია, ნაწარმის ცალკეული დეტალებისა და კვანძების ტექნიკური დამუშავება, კონკრეტული სახის ნაწარმის ან კვანძისთვის რაციონალური დამუშავების ხერხების შერჩევა, შერჩეული დამუშავების მეთოდით ცალკეული კვანძების ნიმუშების მომზადება, იცნობს მექანიკური შეერთების ოპერაციებს, იცის საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენება და მოვლა, აცნობიერებს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობას; გაცნობიერებული აქვს ინდივიდუალური კერვის პროფესიული მიზნები და ამოცანები; იცის სილუეტი, კონსტრუქცია, დეკორატიული ხაზების დახასიათება, ზედაპირის დანაწევრების სქემები, ფორმის მთლიანობის უზრუნველყოფელი ტექნიკური საშუალებები; იცნობს ბაზისური კონსტრუქციიდან თარგის ამოღების და განდეტალების მეთოდებს, დეტალის კონსტრუქციული ხაზების დაზუსტებისა და მოდელური განსაკუთრებულობების დატანის, მასალაში შესრულების და ტექნიკური დამუშავების წესებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი</p>	<p>სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;</p>	<p>შეუძლია კონკრეტული დავალების შესასრულებლად თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება და სათანადო ტექნიკური ხერხისა თუ ტექნოლოგიის შერჩევა, კერძოდ, სამუშაო გარემოში ასრულებს შემდეგ ოპერაციებს: ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების ასორტიმენტისათვის საჭირო კვანძებისა და დეტალების ტექნიკურად დამუშავებას, ფეხსაცმლის საზედაპირე და საძირე, ჩანთების, ჩემოდნების, ბუდეების, ხელთათმანების და სხვა ნაკეთობების დეტალების შეერთების ადგილების წინასწარ დამუშავებას (ჩაშვება, დაკეცვა, შეღებვა, პერფორაცია - საჭიროების მიხედვით), ფეხსაცმლის საზედაპირე და ძირის</p>

		დეტალების ხილული კიდეების დამუშავებას და სხვა; შეუძლია დაარეგულიროს და გამოიყენოს მასიური წარმოების ფეხსაცმლისა და საგალანტერიო ნაწარმის დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობები (უნივერსალური, სპეციალური, ავტომატური და ნახევრადავტომატური საკერავი მანქანები, სისქეზე გამთანაბრებელი მანქანები, ამოწვის, ამოჭრის უნივერსალური მანქანები, წებოს წამსმელი მანქანები და მცირე მექანიზაციის საშუალებები); ასევე, შეუძლია პრაქტიკულად გამოიყენოს შემდეგი უნარ-ჩვევები: ესკიზის მიხედვით შეარჩიოს ბაზისური კონსტრუქციის ან მოდელირებული თარგის მიხედვით მასალაში შესრულებისათვის საჭირო მეთოდები და საჭირო ინსტრუმენტების და მანქანა მოწყობილობების გამოყენებით დამოუკიდებლად შეასრულოს ნაწარმი (გამოჭრა-კერვა) და მიიყვანოს დასრულებულ სახემდე ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად.
დასკვნის უნარი	განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია ნაკეთობის მასალაში შესრულების პროცესში წარმოქმნილი ტექნოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად საინფორმაციო წყაროებით სარგებლობა, სხვადასხვა მეთოდისა და პროცედურის შეფასება და ანალიზი, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება, სათანადო მეთოდის გამოყენებით პრობლემის აღმოფხვრა, დეფექტებისა და შეცდომების წარმოშობის მიზეზების დადგენა და კორექტირება.
კომუნიკაციის უნარი	ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება.	შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში პროფესიულ საკითხებზე მსჯელობა კოლეგებთან და დამკვეთთან. ასევე, უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის სწორედ გააზრება. იცნობს და იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების თანმიმდევრულად ათვისება, ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება და მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლა,
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულების შესაბამისად მოქმედება	აცნობიერებს ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადების პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. პროფესიული პრობლემების წამოჭრისას გულისყურით ეკიდება საკითხს. იცავს საზოგადოებასთან და კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, შეუძლია პროფესიული პრობლემების კორექტულად გადაჭრა. შეუძლია სამუშაოს სწორად ორგანიზება და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა.

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა. აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>აქვს სპეციალობის თეორიულ საფუძველსა და პრაქტიკულ თავისებურებებზე დამყარებული ცოდნა ფეხსაცმლის ზედაპირის კერვის ტექნოლოგიების სფეროში; იცნობს ფეხსაცმლის საზედაპირე დეტალების დამუშავების მეთოდებს, დეტალების კვანძებად აკრებისათვის საჭირო ხერხებსა და საშუალებებს, დასრულებული ნაწარმის მისაღებად კვანძების შეერთების მეთოდებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და ფეხსაცმლის ზედაპირის აკრების შესრულების პროცესში გამოიყენოს აპრობირებული ინფორმაციის წყაროები (პროფესიული ლიტერატურა, სტანდარტები, ტექნიკური პირობები); შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ: ფეხსაცმლის, ტყავ-საგალანტერეო და აქსესუარების ესკიზების საფუძველზე შეიმუშაოს ფეხსაცმლის ძირითადი დეტალების კონსტრუქციები და მათი დამუშავების ხერხები, შეადგინოს ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური თანმიმდევრობის სქემა, შეირჩიოს მასალები, მათი აჭრისა და დამუშავების მეთოდები, შეძლოს შერჩეული დამუშავების მეთოდით ნამზადის დამზადება. ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის ნამზადის დეტალების შეერთება, დეტალების გაფორმება, ხილული კიდეების დამუშავების მეთოდების შერჩევა და შესრულება, ზედაპირისა და სასარჩულე დეტალების დაკავშირების საშუალებების შერჩევა, შუალედი დეტალების ჩასმა ნამზადში, დამხმარე და გამლამაზებელი დეტალებისა და ფურნიტურის გამოყენებ; შეუძლია წადის, ნახევარწადის და სხვა სახის ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის ასორტიმენტის ტექნოლოგიური დამუშავების ძირითადი პრინციპებისა და რაციონალური მეთოდების გამოყენებით ხარისხიანი ნაკეთობის დამზადება; შეუძლია ნაწარმის ასორტიმენტის, კონსტრუქციისა და მისი ელემენტების დეტალური დახასიათება, გვირისტების სახეების ტექნიკური შესრულება, ტყავის ნაკეთობებისათვის განკუთვნილი მანქანების ტექნოლოგიური რეგულირება და მათთან მუშაობა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება. ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადების სპეციფიური პრობლემების გააზრება, პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განხილვა, შერჩევა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე; შეუძლია ესკიზური ტექნიკური და კონსტრუქციულ-ეკონომიკური პროექტების წაკითხვა და ინფორმაციის გადამუშავება, რომელთა გადაწყვეტა თავის მხრივ გულისხმობს ნაწარმის მაღალკვალიფიციურად შესრულების უნარის ფლობას; შეუძლია უცხო ენაზე სპეციალური, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული ცოდნის გაღრმავების (მათ შორის მომიჯნავე დარგებში) და განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს. მუშაობისას უპირატესობას ანიჭებს ეკოლოგიურად სუფთა მასალას. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები, იცავს შრომის ეთიკისა და მორალის ნორმებს, ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.

ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>აქვს ასორტიმენტის შესახებ სპეციალიზებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საშუალებას აძლევს ნაწარმის ფუნქციის, ასორტიმენტის კლასიფიკაციისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასალაში შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური ამოცანები; იცის ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების ესკიზების შემუშავების, დამზადებისა და გამოყვანის მეთოდები; იცნობს ტექნიკურ მახასიათებლებს, ნაწარმის საპროექტო სამუშაოს შესრულების ეტაპებსა და ახალი მოდელის შექმნისათვის საჭირო მეთოდებს; აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების დასამზადებლად; გაცნობიერებული აქვს აგრეთვე, პროფესიული მიზნები და ამოცანები; იცნობს ინდივიდუალური წარმოების თანამედროვე მეთოდებს; იცნობს ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების ასორტიმენტის სახეებს, კონსტრუქციას, აქვს ძირითადი, დამხმარე და გასაფორმებელი მასალების თვისებათა ცოდნა და კონსტრუქციულ-ტექნიკურ პროცესებში მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარი; იცნობს ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების ტექნიკურ შესაძლებლობებს და მათი გამოყენების სფეროებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება სამუშაო პროცესში პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>აქვს ერთიანი საწარმოო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე ტექნიკური ციკლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, ნაკეთობის ტექნიკური მოდელირების, განდეტალების, სერიული გრადირებისა და მასალაში პრაქტიკულად განხორციელების უნარი; შეუძლია ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების მასალაში შესრულებისათვის დამოუკიდებლად შეარჩიოს ოპტიმალური კონსტრუქციული და ტექნოლოგიური პროექტირების მეთოდები; ფეხსაცმლის ფორმადგრაფობის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეირჩიოს საქუსლარისა და ცხვირქვედის მასალები და შეძლოს მათი სწორად განთავსება ნამზადში; შეუძლია ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის ნამზადის ფორმირების პროცესის შერჩევა ნამზადის რელიეფიდან (ბრტყელი, ნ/სივრცითი და სივრცითი) გამომდინარე, ქუსლისა და ცხვირის ნაწილის წინასწარი ფორმირება, ნამზადის ფორმირება გადაჭიმვა-მოჭიმვის მეთოდით (ცხვირის, კონათა, კამარის და ქუსლის ნაწილის გადაჭიმვა-მოჭიმვა), ფორმირება კვანძებად აკრებილი და წინასწარ ფორმირებული დეტალებით, კვალის შევსება, საძირე დატალების წინასწარი დამუშავება და ძირის მიმაგრება სხვადასხვა მეთოდით; შეუძლია დაგეგმილი პროცესის</p>

		მოცემულ ვადაში რაციონალურად განაწილება; აქვს წარმოებაში მოცემულ საფეხურზე ტექნიკური პროცესების თანმდევით პრობლემის გადაჭრის მართებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი. შეუძლია ფესვსაგნის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციფიკური პრობლემის ეფექტურად აღმოფხვრა, შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია ფართო საზოგადოებისათვის პროფესიული ინფორმაციის ან ახალი იდეების სრულყოფილად გადაცემა სხვადასხვა სახის ვიზუალური მასალის, ხარისხობრივი მაჩვენებლების და სხვა მონაცემთა გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს პროფესიული ინფორმაციის მოსაპოვებლად და მუშაობის პროცესში. შეუძლია შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადება და წარდგენა უცხო ენაზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შემდგომი განვითარების მიზნით თავად განსაზღვროს სწავლის პრიორიტეტული მიმართულებები, დაგეგმოს სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს; უპირატესობას ანიჭებს ეკოლოგიურად სუფთა მასალის გამოყენებას; იცავს ეთიკისა და მორალის ნორმებს კოლექტიური შრომის დროს; სრულყოფს ნაკეთობის უტილიტარულ, ჰიგიენურ და ტოქსიკოლოგიურ თვისებებს მომხმარებლის მოთხოვნების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით; ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.